

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის „ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის მარიკა ჩხიკვიშვილის

ანგარიში

24.02.2021

წარმოგიდგინებ ჩემს „როგორც საკრებულოს მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს“. ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე. საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად.

მინდა მადლობა გადავუხადო პარტია „ქართულ ოცნებას“, რომელმაც გამომიცხადა ნდობა და ვარ წარმოგიდგინო საკრებულოში პარტიული სიით. მადლობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც მუდამ მზად არის სიახლეებისთვის და მხარს გვიჭერს ყველა მნიშვნელოვანი ინიციატივის განხორციელებისთვის. ასევე, მადლობა პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს და გურიის მაჟორიტარ დეპუტატს ვასილ ჩიგოგიძეს ეფექტური თანამშრომლობისთვის. მინდა გამოვყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის როლი და მადლობა მათ ნაყოფიერი შრომისთვის.

საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს „ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილემ და საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე საკრებულოს 15 სხდომაში. სადაც, მიღებულ იქნა 19 დადგენილება და 65 განკარგულება. ასევე ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 13 სხდომაში.

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს კომისიების მუშაობაში. ვარ განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. მნიშვნელოვანი იყო ჩემი აღნიშნულ კომისიებში მუშაობა, რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებულიყო მოქალაქეების მომართვიანობა, რომელიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს.

ჩემთვის, როგორც საკრებულოს წევრისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეებთან აქტიური კომუნიკაცია, მათი პრობლემების იდენტიფიცირება, შესწავლა, დახარისხება და სწრაფი, ეფექტური რეაგირება. პანდემიის პერიოდში მოქალაქეებთან ეფექტიანი მუშაობის აუცილებლობა კიდევ უფრო ნათლად დავინახეთ. მაშინ, როდესაც მსოფლიო უდიდესი გამოწვევის წინაშე იდგა და ვებრძოდით პანდემიას, მოქალაქეებში იმატა იმ ყოფითმა პრობლემებმა, რაც ყოველდღიურად მოსაგვარებელი იყო. მე, როგორც საკრებულოს წევრი პანდემიის პერიოდში მაქსიმალური ყურადღებით ვიყავი ორიენტირებული მოქალაქეების პრობლემების მოგვარებაზე.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივი აქტების განხილვა - დამტკიცებაში.მათ შორის :

- 1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი;
2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესი;
- 3.სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესი;
- 4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი საშუალოვადიან პერსპექტივაში;
- 5.დასუფთავების მოსაკრებელისა და გადახდის ინსტრუქციის დაზუსტებული ვარიანტი;
- 6.მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩების სახელდებისა და დამისამართების საკითხები.
7. კურორტ გომისმთის სახელდებისა და სტატუსის განსაზღვრის საკითხები და სხვა.

მოქალაქეებთან შეხვედრებს ვაწარმოებდი გრაფიკით, სადაც ძირითადად გამოიკვეთა

- 1.შიდა გზების პრობლემა,
- 2.სოციალური საკითხები,
- 3.სასმელი წყლის პრობლემა,
- 4.საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე,
- 5.დასუფთავების პროექტის მართებული განხორციელება,
- 6.პარკირების წესის ეფექტიანი მართვა

მოქალაქეების მიერ მოწოდებულ ამ და სხვა პრობლემებს ვაყენებდი საკრებულოს კომისიების სხდომებზე და წერილობით მივმართავდი მერიას.

ერთ -ერთ მნიშვნელოვან პროექტად მიმაჩნია სამოქალაქო ბიუჯეტი, რომლის განხორციელებაში აქტიურად ჩავერთე. მოგახსენებთ ,რომ ვარ სოლიდარობის ფონდი საქართველოში „პარტიციპაციის აკადემიის“ კურსდამთავრებული. სადაც საფუძვლიანად შევისწავლეთ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები და სამოქალაქო ბიუჯეტის საკითხები. მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად ვიყავი ჩართული სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვა , განხორციელების პროცესში. ვიმედოვნებ ერთობლივი ეფექტიანი მუშაობით ჩვენ შევძლებთ სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვას სოფლებშიც.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე აქტიურად ვთანამშრომლობდი ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახორციელებდა პროექტს საბიუჯეტო პროცესში ფრაქციების მიერ აქტიურობა და ინიციატივების წარდგენა. ჩვენმა ფრაქციამ მოქალაქეებთან შეხვედრებით და ანკეტების გამოკითხვის საშუალებით მოვამზადეთ პრიორიტეტების ნუსხა,სადაც წარმოდგენილი იყო ყველა ის მნიშვნელოვანი ინიციატივა ,რომელიც გამოიკვეთა მოსახლეობიგან. ეს ეხებოდა

- 1.სკოლამდელ დაწესებულებებში ხელფასების მატებას.
- 2.ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე ველობილიკის მოწყობას,
3. სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვას;
- 4.მიუსაფარი ცხოველების პრობლემის მოგვარებას,
- 5.წყალმომარაგების სისტემის დანერგვას სოფლებში,
- 6.ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება.

აღნიშნული ინიციატივებიდან გარკვეული საკითხები იქნა ასახული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ახალგაზრდული ინიციატივების დაფინანსება .აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში მნიშვნელოვანი სამუშაო გაწეიე. ვფიქრობ ერთ -ერთი წარმატებული პროგრამა და კარგი შესაძლებლობა იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. ფრაქციის ინიციატივით შევქმენით ძალიან საინტერესო პროგრამა ახალგაზრდებისთვის ,რომლის სახელწოდებაა „შენით შექმნილი მომავალი“ ,მისი მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების მოძიება და საზოგადოებისთვის გაცნობა .რომლებიც, თავისი საქმიანობით გამოირჩევიან და დადებით გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე.

აქტიურად ვთანამშრომლობ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულ ასოციაციასთან. მონაწილეობა მივიღე მათ დაგეგმილ ტრენინგ-კურსებში და ფორუმებში ,სადაც განხილული იქნა თვითმმართველობის საქმიანობის სხვადასხვა საკითხები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის წარდგინებით არჩეული ვარ ქორლეაფის დელეგაციის წევრად. აღნიშნულ დელეგაციაში შედის 4 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ,სადაც მე გახლავართ ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან.

ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან მჭიდრო კომუნიკაცია მაქვს .მონაწილეობა მივიღე მათ მიერ დაგეგმილ ტრენინგებში .ვარ „მომავალ ლიდერ ქალთა“ პროგრამის მონაწილე და აქტიურად ვესწრები სხვადასხვა მნიშვნელოვან ტრენინგ-კურსს. პროგრამის მიზანია ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში და ქალების გააქტიურება. უმნიშვნელოვანესია შევძლოთ გენდერული პოლიტიკის გატარება ადგილობრივ მმართველობაში.

ჩემი საქმიანობის პერიოდში ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ამერიკის საელჩოს მიერ გამოცხადებულ პროგრამაში გამარჯვება. ამერიკის საელჩოს პროგრამა „ღია სამყაროს“ ფორმატით საქართველოდან ვიმყოფებოდით 7 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ,რომელიც

ეხებოდა თვითმმართველობის საქმიანობის გაცნობას. სადაც მომენიჭა ალუმნის სტატუსი ,რაც შესაძლებლობა მძლევს მონაწილეობა მივიღო ამერიკის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო და სასწავლო კონკურსებში. ვაშინგტონში გამართულ მუნიციპალიტეტებს შორის შეხვედრების დროს ვისაუბრე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიღწევებზე და წარვადგინე საკრებულოს მიერ დადგენილი მექანიზმების შესახებ ინფორმაცია ,რომელიც მოქალაქეთა ჩართულობას და გააქტიურებას უწყობს ხელს.

ძალიან საინტერესო იყო ჩემი ვიზიტი გერმანიაში , ქალაქ შტუტგარდში ,სადაც გავეცანიტ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობას ,განათლების სისტემას, მუნიციპალური საწარმოების მუშაობას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

ვიმედოვნებ ჩემს კოლეგებთან ერთად შევძლებ კიდევ უფრო მეტი სასიკეთო საქმის გაკეთებას.

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ამომრჩეველს ნდობისთვის და აქტიური თანამშრომლობისთვის.

მ.ჩხიკვიშვილი

24.02.2021